საქართველოს მთავრობის

დადგენილება № 227

2014 წლის 13 მარტი

ქ.თბილისი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში საჯარო სამართლის იურიდიული პირების დაფუძნების შესახებ

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (www.matsne.gov.ge, 23/09/2013, 040030000.05.001.017075) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. დაფუძნდეს:

ა) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დანაშაულის პრევენციის ცენტრი;

ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - იუსტიციის სახლი;

გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ,,სმართ ლოჯიქი“ (SMART LOGIC);

დ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს საკანონმდებლო მაცნე;

ე) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი.

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დანაშაულის პრევენციის ცენტრი განისაზღვროს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დანაშაულის პრევენციისა და ინოვაციური პროგრამების ცენტრის შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 4 სექტემბრის №779 ბრძანებულებით შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დანაშაულის პრევენციისა და ინოვაციური პროგრამების ცენტრის სამართალმემკვიდრედ.

3. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - იუსტიციის სახლი განისაზღვროს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იუსტიციის სახლის შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 2 აგვისტოს №661 ბრძანებულებით შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იუსტიციის სახლის სამართალმემკვიდრედ.

4. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ,,სმართ ლოჯიქი“ (SMART LOGIC) განისაზღვროს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „სმართ ლოჯიქის“ შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 15 თებერვლის №106 ბრძანებულებით შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ,,სმართ ლოჯიქის“ (SMART LOGIC) სამართალმემკვიდრედ.

5. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს საკანონმდებლო მაცნე განისაზღვროს „საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან საქართველოს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ შექმნის თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 1998 წლის 29 სექტემბრის №157 ბრძანებით შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ სამართალმემკვიდრედ.

6. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი განისაზღვროს „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2000 წლის 19 აპრილის №50 ბრძანებით შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის სამართალმემკვიდრედ.

7. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების სახელმწიფო

კონტროლს ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

მუხლი 2

საქართველოს იუსტიციის მინისტრმა უზრუნველყოს ამ დადგენილების პირველი მუხლის პირველ პუნქტში მითითებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების დებულებების დამტკიცება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**